სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 2019

(წინასწარი შედეგები)

20.01.2020

www.geostat.ge

20.01.2020

## ადგილობრივი ექსპორტი
## (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე)

2019 წელი

2019 წელს საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ (არადეკლარირებული ექსპორტის გარეშე) 3 771.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 12.4 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს. ექსპორტი რეექსპორტის გარეშე (ადგილობრივი ექსპორტი), მთლიანი ექსპორტის 62.4 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 5.7 პროცენტით გაიზარდა და 2 352.3 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შესაბამისი მაჩვენებლების განვითარების ტენდენციას 2014-2019 წლებში:

**ექსპორტის ტენდენციები საქართველოში 2014-2019 წწ.**
(მლნ. აშშ დოლარი)




*წინასწარი მონაცემები.

20.01.2020

## ექსპორტის ტენდენციები საქართველოში 2014-2019 წწ.

(მლნ. აშშ დოლარი)




*წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოდან 2017-2019 წლებში განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტის მონაცემები თვეების მიხედვით:

## ექსპორტის ტენდენციები საქართველოში 2014-2019 წწ.

(მლნ. აშშ დოლარი)

| | | მლნ. აშშ დოლარი | ცვლილება (%) |
|---|---|---|---|
| 2017 | იანვარი | 140.9 | 46.8 |
| | თებერვალი | 144.1 | 14.2 |
| | მარტი | 174.5 | 37.0 |
| | აპრილი | 165.4 | 25.2 |
| | მაისი | 150.0 | 14.7 |
| | ივნისი | 182.2 | 42.4 |
| | ივლისი | 155.8 | 11.1 |
| | აგვისტო | 175.0 | 24.8 |
| | სექტემბერი | 189.1 | 24.3 |
| | ოქტომბერი | 182.9 | 38.0 |
| | ნოემბერი | 165.3 | -2.6 |
| | დეკემბერი | 185.0 | 26.6 |

| | | მლნ. აშშ დოლარი | ცვლილება (%) |
|---|---|---|---|
| 2018 | იანვარი | 163.5 | 16.0 |
| | თებერვალი | 162.1 | 12.5 |
| | მარტი | 203.6 | 16.7 |
| | აპრილი | 153.2 | -7.4 |
| | მაისი | 215.0 | 43.4 |
| | ივნისი | 217.9 | 19.6 |
| | ივლისი | 175.6 | 12.7 |
| | აგვისტო | 169.3 | -3.2 |
| | სექტემბერი | 204.3 | 8.0 |
| | ოქტომბერი | 189.0 | 3.3 |
| | ნოემბერი | 169.9 | 2.8 |
| | დეკემბერი | 202.9 | 9.7 |
| 2019 | იანვარი | 158.1 | -3.3 |
| | თებერვალი | 183.2 | 13.1 |
| | მარტი | 210.1 | 3.2 |
| | აპრილი | 186.8 | 21.9 |
| | მაისი | 199.5 | -7.2 |
| | ივნისი | 184.5 | -15.3 |
| | ივლისი | 188.1 | 7.1 |
| | აგვისტო | 183.3 | 8.3 |
| | სექტემბერი | 196.6 | -3.7 |
| | ოქტომბერი | 198.9 | 5.2 |
| | ნოემბერი | 223.5 | 31.6 |
| | დეკემბერი | 239.8 | 18.2 |

*წინასწარი მონაცემები.

2019 წელს, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტის მოცულობა 736.6 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 17.2 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მონაცემზე და ქვეყნის მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 31.3 პროცენტს შეადგენს.

რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული მთლიანი ექსპორტის მოცულობას, 825.7 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (13.0 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით) და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.9 პროცენტი შეადგინა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტის მოცულობა 855.2 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. აღნიშნული მაჩვენებელი 10.0 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 36.4 პროცენტს შეადგენს.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წელს დსთ-ის ქვეყნებში განხორციელებული მთლიანი ექსპორტის მოცულობა 2 003.1 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა (20.0 პროცენტით მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით) და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 53.1 პროცენტი შეადგინა.

2019 წელს ათი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში, 76.2 პროცენტი შეადგინა. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: რუსეთი (432.3 მლნ. აშშ დოლარი), ბულგარეთი (281.6 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (207.0 მლნ. აშშ დოლარი).

## უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები ადგილობრივ ექსპორტში

| | 2018 | | 2019* | | ცვლილება (%) |
|---|---|---|---|---|---|
| | მლნ. აშშ დოლარი | წილი (%) | მლნ. აშშ დოლარი | წილი (%) | |
| **სულ** | 2 226.2 | 100.0 | 2 352.3 | 100.0 | 5.7 |
| მათ შორის: | | | | | |
| რუსეთი | 383.0 | 17.2 | 432.3 | 18.4 | 12.9 |
| ბულგარეთი | 257.7 | 11.6 | 281.6 | 12.0 | 9.3 |
| ჩინეთი | 182.4 | 8.2 | 207.0 | 8.8 | 13.5 |
| თურქეთი | 224.5 | 10.1 | 188.1 | 8.0 | -16.2 |
| რუმინეთი | 57.7 | 2.6 | 177.6 | 7.5 | 207.6 |
| უკრაინა | 113.6 | 5.1 | 132.3 | 5.6 | 16.4 |
| აშშ | 159.2 | 7.2 | 128.6 | 5.5 | -19.3 |
| აზერბაიჯანი | 117.4 | 5.3 | 88.4 | 3.8 | -24.7 |
| სომხეთი | 78.5 | 3.5 | 85.2 | 3.6 | 8.5 |
| შვეიცარია | 67.3 | 3.0 | 71.3 | 3.0 | 5.9 |
| დანარჩენი ქვეყნები | 584.7 | 26.3 | 559.9 | 23.8 | -4.2 |

*წინასწარი მონაცემები.

20.01.2020

2019 წელს ადგილობრივი ექსპორტის ათეულში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატები არის წარმოდგენილი 651.6 მლნ. აშშ დოლარით. აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 27.7 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა ფეროშენადნობები 302.1 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 12.8 პროცენტი) ხოლო მესამე ადგილს იკავებს ყურძნის ნატურალური ღვინოები 221.6 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 9.4 პროცენტი).

## უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები ადგილობრივ ექსპორტში

| | 2018 წლის | | 2019* წლის | | ცვლილება (%) |
|---|---|---|---|---|---|
| | მლნ. აშშ დოლარი | წილი (%) | მლნ. აშშ დოლარი | წილი (%) | |
| **სულ** | 2 226.2 | 100.0 | 2 352.3 | 100.0 | 5.7 |
| მათ შორის: | | | | | |
| სპილენძის მადნები და კონცენტრატები | 504.5 | 22.7 | 651.6 | 27.7 | 29.2 |
| ფეროშენადნობები | 351.9 | 15.8 | 302.1 | 12.8 | -14.1 |
| ყურძნის ნატურალური ღვინოები | 194.8 | 8.7 | 221.6 | 9.4 | 13.7 |
| მინერალური და მტკნარი წყლები | 110.1 | 4.9 | 133.5 | 5.7 | 21.3 |
| აზოტოვანი სასუქები | 91.9 | 4.1 | 94.8 | 4.0 | 3.1 |
| სპირტიანი სასმელები | 81.7 | 3.7 | 84.6 | 3.6 | 3.6 |
| ოქრო | 69.8 | 3.1 | 72.8 | 3.1 | 4.3 |
| თხილი და სხვა კაკალი | 54.3 | 2.4 | 64.8 | 2.8 | 19.4 |
| ტრიკოტაჟის ნაწარმი | 40.8 | 1.8 | 38.0 | 1.6 | -6.8 |
| ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან | 22.6 | 1.0 | 30.9 | 1.3 | 36.7 |
| დანარჩენი საქონელი | 703.9 | 31.6 | 657.5 | 28.0 | -6.6 |

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა";

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი";

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია".

**გამოყენებული პირობითი აღნიშვნები:**

- მოვლენა არ არსებობს;

* მონაცემები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას ინფორმაციულ წყაროებში და მეთოდოლოგიაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში;

... მონაცემები კონფიდენციალურია.

0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა

**შენიშვნა:**

1. ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

2. 2011-2014 წლების ინფორმაცია განახლებულია სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემებით;

3. ინფორმაცია არ მოიცავს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების (ფორმა №4) მონაცემებს;

4. ინფორმაცია არ მოიცავს არაორგანიზებულ ვაჭრობას; ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებს;

5. საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა და საბაჟო სტატისტიკა განსხვავებულად ახდენს სასაქონლო ნაკადების მოცვას. კერძოდ, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში არ აისახება დროებითი, დიპლომატიური, სატრანზიტო და სხვა ანალოგიური სახის ტვირთები.

წინასწარი მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

ინფორმაცია ეყრდნობა ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზებს. აღნიშნულ ბაზებში საქსტატი არ ახორციელებს საბაჟო რეჟიმების კონტროლს და კორექტირებას. ამის გამო წინამდებარე მიმოხილვაში „ადგილობრივი ექსპორტი“ არ გულისხმობს მხოლოდ ადგილობრივი წარმოების საქონლის ექსპორტს და მასში ასახულია უცხოური წარმოშობის საქონლის ექსპორტიც.

საკონტაქტო პირი:
მაკა კალანდარიშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (300)
E-mail: Mkalandarishvili@geostat.ge